

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



არასამთავრობოები ეხმარებიან ბესიკ ხარძიანის მკვლელობას და ხელისუფლებას მოუწოდებენ, ეფექტურად წარმართოს დარღვეული უფლებების აღდგენის პროცესი

გამოვხატავთ შეშფოთებას ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, ვესამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს; მოვუწოდებთ ხელისუფლებას,

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



უსწრაფესად, სრულად და მიუკერძოებლად გამოიძიოს აღნიშნული მკვლელობის საქმე, გამოავლინოს დამნაშავეები და უზრუნველყოს მათი კანონის სრული სიმკაცრით დასჯა.

ბესიკ ხარდიანის მკვლელობა იმთავითვე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, როგორც სამართლიანობის აღდგენის პროცესის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერის მიმართ შესაძლო ანგარიშსწორება, რომელიც ასევე მიზნად ისახავს პროცესის სხვა მხარდამჭერების დაშინებას. ეს ტრაგიკული შემთხვევა, შესაძლოა, განხილულ იქნეს, როგორც იური-ვაზაგაშვილის ვანდალური მკვლელობის გაგრძელება, რომელიც მიმართულია სამართლიანობის დამკვიდრებისთვის მებრძოლი აქტიური მოქალაქეების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, საზოგადოებაში გააქტიურდა საუბრები იმის შესახებ, რომ თუ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობის აღდგენის პროცესის სწორად წარმართვას, ეს პროცესი შესაძლოა კონკრეტულმა მოქალაქეებმა აიღონ საკუთარ თავზე.

2004-2012 წლებში ჩადენილი უფლებადარღვევის ფაქტების შესწავლისა და მათზე რეაგირების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ 2012 წლამდე ყურადღებას ამახვილებდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველოს პარტნიორი ქვეყნები. არჩევნების შემდეგ მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენის აუცილებლობა არაერთი საერთაშორისო ექსპერტისა თუ ანგარიშის ყურადღების ცენტრში მოექცა.

გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კომიტეტმა, 2014 წლის ანგარიშში აღნიშნა: **□ მონაწილე სახელმწიფომ უნდა გამოიძიოს წარსული დარღვევები... მან ყველა ღონე უნდა იხმაროს მსხვერპლთა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფისთვის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად**

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის, ტომას ჰამერბერგის 2014 წლის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, **□ [] უნდა გააჩნდეს ერთმნიშვნელოვანი და ცხადი გეგმა თუ როგორ აპირებს მოახდინოს რეაგირება წარსულში ჩადენილ დანაშაულებზე. ცხადი პოლიტიკის არარსებობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს საზოგადოებაში დაძაბულობის გაღრმავებას, რაც ასევე იწვევს მსხვერპლთა უფლებების განგრძობით დარღვევას. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს კომპენსაციის დეტალური სტრატეგია იმ შემთხვევაშიც კი თუ, არსებობს შესაძლებლობა, რომ სახელმწიფო აღმოჩნდება მსხვერპლთათვის კომპენსაციის გადახდის ფინანსური სირთულეების წინაშე.**

აღნიშნულზე საუბრობს ასევე ევროპის სამეგობლო პოლიტიკის ფარგლებში ნაკისრი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს მთავრობას:

-დაუყოვნებლივ შეიმუშაოს დარღვეული უფლებების აღდგენის კონკრეტული და ეფექტიანი სტრატეგიის დოკუმენტი, მათ შორის სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩართულობისა და საჯარო დისკუსიების გამართვის გზით;

საქართველოს პარლამენტს და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებს:

-კრიტიკულად გააანალიზონ მოქმედი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო და შეაფასონ შესაძლო ცვლილებების საჭიროება დარღვეული უფლებების აღდგენის უზრუნველსაყოფად;

-გადადგან ნაბიჯები შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოსაყალიბებლად, იმისათვის, რომ შეიქმნას დარღვეული უფლებების აღდგენის რეალური შესაძლებლობა;

საქართველოს პროკურატურას:

-უფლებადარღვევის აღნიშნული საქმეების გამოძიება უზრუნველყოს სწრაფად, ეფექტურად და გამჭვირვალედ;

-მიიღოს ყველა ზომა, რათა აღნიშნული უფლებადარღვევის ფაქტების გამოძიებისას თავიდან იყოს აცილებული სამართალდამცავ ორგანოებში ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა;

საქართველოს პარლამენტს:

-განახორციელოს ეფექტური საპარლამენტო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე ზემოაღნიშნული მიმართულებით;

-წამყვანი როლი შეასრულოს უფლებების აღდგენის პროცესის ეფექტურად წარმართვაში.

ხელმოწერილი ორგანიზაციები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ადამიანის უფლებათა ცენტრი

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

ბიზნესის და ეკონომიკის ცენტრი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

